



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 113

ქ. გარდაბანი

30/11/2022

113-06-4-202211301516



გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის შესრულების
ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის,
საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 85-ე მუხლის და
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 01 ნოემბრის N18-182230532
წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1

ცნობად იქნეს მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის
ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიში დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში
(ქალაქი რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N 6) საქართველოს ადმინისტრაციული
საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე